Orient Logic ქართული ბრენდია. კომპანია 23 წლის წინ, 1995 წელს დაარსდა და მას მერე მომხმარებელს უწევს გარანტირებულად მაღალი ხარისხის მომსახურებას ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით. კომპანია B2B მოდელზეა ორიენტირებული და ორგანიზაციებს მაღალი ხარისხის IT-გადაწყვეტილებებით უზრუნველყოფს.

Orient Logic აცხადებს ვაკანსიას **უსაფრთხოების სისტემების გაყიდვების ასისტენტის** პოზიციაზე.

ჩვენი ვაკანსია იმ ადამიანებისთვისაა, ვისთვისაც შეუძლებელი არაფერია. ვინც ეძებს გზას, როგორ დაუკავშიროს პროფესიული მომავალი ტექნოლოგიური განვითარების სფეროს, იმუშაოს საკუთარი განვითარებისა და კომპანიისთვის, გაიზიაროს მომხმარებლის ინტერესი და ჩვენი კომპანიის ერთგულ კლიენტად აქციოს.

ჩვენი გუნდის ახალი წევრი:

- ჩართული იქნება დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების ტექნიკური ასევე სხვა პირობების შესწავლა/შეფასებაში;
- მოახდენს შეკვეთების განთავსებას და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოახდებს კლიენტისთვის პროდუქციის მიწოდებას, შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;
- ყოველდღიურად იზრუნებს ვენდორებთან (Trend Micro, Barracuda, Forcepoint, Cirix და სხვა) ურთიერთობაზე და იმუშავებს დისტრიბუტორებთან: პროდუქტის სპეფიციკაციიების შედგენა, შესაბამის გადაწყვეტილებაზე ფასების მოძიება, და სხვა საჭირო დოკუმენტაციის მოთხოვნა ყოველდღიური საქმიანობისთვის;
- მოამზადებს პრეზენტაციებს და ასევე მოიძიებს შესაბამის მასალებს;
- მოიძიებს ინფორმაციას ტენდერების შესახებ, მოამზადებს სატენდერო წინადადებას (ფასების, პირობების, MAF, და ვენდორის მიერ მოწოდებული სხვა საჭირო დოკუმენტაციის თავმოყრა);

ჩვენ ვეძებთ ადამიანს:

- ვისაც უხარია ახალ ადამიანებთან შეხვედრა და მათთან ურთიერთობას დადებითი შთაბეჭდილებით წარმართავს;
- ვისაც შეუძლია დაარწმუნოს პოტენციური კლიენტი რომ ჩვენი პროდუქტი ის არის, რაც მას რეალურად სჭირდება, გაიზიაროს მომხმარებლის მოთხოვნა და მოერგოს მას;
- დროულად აღმოაჩენს პრობლემას და გამოსავლის ძიებას დაიწყებს;
- წერს გამართულად და ლაკონურად, მის ნაწერში კი მკაფიოდ იკითხება მთავარი სათქმელი და აქცენტიც სწორად არის დასმული;
- ვისაც მოსწონს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა აუდიტორიის წინაშე, ამზადებს და ატარებს კარგ პრეზენტაციებს;
- მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ეს ყველაფერი შეგიძლიათ, მაინც ვერ ვთმობთ საყოველთაოდ მოთხოვნილ ინგლისურსა და რუსულს და ჩვენც იგივეს ვითხოვთ;
- ვერც აღიარებულ სტატუსებს ავუვლით გვერდს და გვჭირდება - უმაღლესი განათლება ინფორმაციული ტექნოლოგიების ან ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით;

ის, რაც ყველაზე მეტად გაინტერესებთ:

ჩვენი გუნდის წევრობა 3 თვიანი სტაჟირებით იწყება და ეს არის საუკეთესო დრო, როცა თქვენ ეცნობით კომპანიის მუშაობას.

მეორე ეტაპი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უნარის გამოვლენისა და სასწავლო პროცესის წარმარტებით დაძლევის შემდეგ იწყება- ვაფორმებთ გრძელვადიან შრომით ხელშეკრულებას კონკურენტული ანაზღაურებით და გაყიდვებიდან მიღებული ბონუსით.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ გამოაგზავნოთ რეზუმე მიმდინარე წლის 12 ნოემბრამდე,ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შემდეგ მისამართზე Vanacy@ol.ge სათაურის ველში მნიშვნელოვანია მიუთითოთ სასურველი ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოვახდენთ თქვენი რეზუმეს განხილვას.

დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

გისურვებთ წარმატებებს!